საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №01-69/ნ/№451
2017 წლის 15 დეკემბერი

ქ. თბილისი

სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შესყიდული იმ საქონლის ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომლის მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,კ[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

განისაზღვროს სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შესყიდული იმ საქონლის ნუსხა, რომლის მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე, შემდეგი სახით:

1. **ჰემოდიალიზის ფარგლებში:**

ა) ჰემოდიალიზური მოწყობილობები (ხელოვნური თირკმელები, ხელოვნური თირკმლის აპარატები, დიალიზატორები);

ბ) ჰემოდიალიზატორი;

გ) ნატრიუმის ბიკარბონატი (ნებისმიერი ფორმით - ფხვნილი, კარტრიჯი, ,,ბიბეგი“);

დ)ჰემოდიალიზური ა/ვ სისხლის მაგისტრალი;

ე)ჰემოდიალიზური ა/ვ საპუნქციე ნემსი.

2. **პერიტონეული დიალიზის ფარგლებში:**

ა) პერიტონეული დიალიზის კათეტერის დამცავი სადეზინფექციო ხუფი;

ბ) კათეტერის დამაგრძელებელი (გადამყვანი);

გ) პერიტონეული დიალიზის კათეტერი;

დ) კათეტერის ადაპტორი (ტიტანის);

ე) გამომავალი მაგისტრალის ჩამკეტი;

ვ) მაგისტრალი ჩამცლელი ჩანთით (აპდ მიმღები);

ზ) კასეტა (აპდ სისტემა).

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	**დავით სერგეენკო**
საქართველოს ფინანსთა მინისტრი	**მამუკა ბახტაძე**